ქართული აზრი

№ 90 ნიუ იორკი, დეკემბერი 1971 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, DECEMBER 1971

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

დეკემბერი, 1971 წ.

თანამედროვე ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება განუსაზღვრელობაა. ტექნიკის უაღრესმა განვითარებამ მოსპო სივრცის და დროის საზღვარი. ტექნიკურ სწრაფვას ადამიანი იმდენად აჰყვა და დაემორჩილა, რომ ისპობა სოციალური, რასიული, რელიგიური საზღვრები და თვით შთამომავლობამაც კი ფასი დაკარგა.

ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივად ისმება საკითხი: არსებობს თუ არა საზღვარი თვით ადამიანში, მის შინაგან სამყაროში? ეს საკითხი უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან თუ მოისპო ადამიანის შინაგანი სამყაროს საზღვარი, მაშინ ის ჰკარგავს თავისი თავის კონტროლს და მოქმედების პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში საჭიროა ისევ ადამიანს მივმართოთ და შევეკითხოთ: ვინა ხარ და რისთვისა სცხოვრობ? ასეთმა შეკითხვამ შეიძლება, მეტ-ნაკლებად სხვადასხვა პასუხი გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი უცვლელი იქნება, შაბლონიური: გეტყვიან გვარსა და სახელს, შეიძლება ეროვნება და სქესიც მიაყოლონ ზედ და წლოვანებაც. რისთვის ცხოვრობს? იმიტომ, რომ დაიბადა და უნდა იცხოვროს, იმიტომ რომ მას ოჯახი აქვს და უნდა მოუაროს; უკეთეს შემთხვევაში იტყვის, რომ მასაც აქვს ამბიცია თანამედროვე ცხოვრებაში თავისი წვლილი შეიტანოს და თვითმფრინავის, ან რომელიმე დარგის ერთი ახალი ხრახნილი მანაც აღმოაჩინოს!

როგორც ვხედავთ, ტექნიკის გავლენით, ადამიანი ჰკარგავს თავის შინაგან სამყაროს და თუ ასე გაგრძელდა, თვით გადიქცევა ტექნიკური აღმავლობის უძრალო ხრახნილად.

სად არის გამოსავალი და როგორ შეიძლება ადამიანი დაუბრუნდეს ზემატერიალურ ცხოვრებას?

ჩემის აზრით ამ საკითხს წმინდა ნინომ 16 საუკუნის წინ უპასუხა, როცა ქართველ ერს ქრისტიანობა დაამოძღვრა.

რატომ გვახარებს ჩვენ ქრისტეს შობის დღესასწაული და რატომ ვამაყობთ, რომ ქრისტიანები ვართ?

ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულია, სიყვარული უანგარო მიძღვნილობით... ამისათვის მუდმივი ზრუნვა. ესა ქმნის ადამიანის შინაგან სამყაროს მაღალ სიფაქიზეს... ეს აცისკროვნებს ადამიანის სულსა და გონებას.... ესა ქმნის ადამიანის შინაგან სამყაროს მთლიანობას და ამავე დროს მასში წარმოშობს საზღვარს, რადგან ამით იგი „იმიჯვნის (ე. ი. ისაზღვრება) ბოროტისაგან“. ეს საზღვარი ადამიანის თვითკონტროლის და პასუხისმგებლობის ფუძეა.

სიძულვილით შეიძლება ყველაფრის მოსპობა და განადგურება, სიყვარული კი ჰქმნის ცხოვრებას თვალწარმტაცად... მიმზიდველად და ეს არის ქრისტიანული მოძღვრების დედა აზრი, ეს დაგვანათლა ქრისტე ღმერთმა და ამიტომ არის რომ დიდი სიხარულით მოველით ქრისტეს შობის დღეს.

ჩვენ არ ვიცით რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე. დაბეჯითებით არც იმის თქმა შეიძლება: საერთოდ იქნებოდა საქართველო თუ მისი ჯიში მოისპობოდა. ვიცით მხოლოდ, და გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის გარეშე ის ვერ შექმნიდა იმ ბრწყინვალე წარსულს; თვალწარმტაც ისტორიას, რომლითაც ყოველი ქართველი ამაყობს.

ქართველი ერი მიეძღვნა ქრისტიანიზმს და ქრისტიანიზმმა შეინახა ქართული მოდგმა. ჩვენი ერი იმ დღიდან გადაიქცა საერთაშორისო ძალათ, რაც შევიმცნეთ ქრისტიანული სიფაქიზე და სიყვარული.

თვით ჩვენი ომები და სისხლის ღვრაც ხომ სიყვარულით იყო გამოწვეული! ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მამული, ჩვენი მშობლები, შვენი შვილები და მათი არსებობა, მათი კეთილდღეობა მოითხოვდა ომს, სისხლის გაღებას და ჩვენც სიყვარულის სანიმუშო მიძღვნილობით ვომობდით და სისხლსა ვღვრიდით. ჩვენ არ ვომობდით „ვინმეს დასაპყრობად, დასამონებლად“, არამედ ჩვენი ერის უკეთესი მომავლისათვის. აკაკი გვასწავლის: „ამგვარ ცოდოს ღმერთი არ გვიწყენს, თავდები არის თვით სიყვარული“-ო. აკი კიდეცა სძლია სიყვარულმა სიბოროტეს და საქართველო ყველა დამპყრობელთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. ქრისტეს რჯულის მაღალი რწმენით და სამშობლოსადმი სანიმუშო მიძღვნილობით, ჩვენმა წინაპრებმა სამუდამოთ უკვდავ ჰყვეს ქართული მოდგმა.

რუსეთ-ჩინეთისაგან სწორედ ეს ანსხვავებს საქართველოს: ერთი, თითქოს, ქრისტიანული, მეორე არა, მაგრამ ორივე ქვეყნის მოქმედების საფუძველი ანტიქრისტიანულია. მათ ამოძრავებს არა სიყვარული, არამედ სიძულვილი და მტრობა. მათი ომების მიზანია სხვისა დაპყრობა, დაჩაგვრა და არა საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ოჯახის უკეთესი მომავალი. რუსულ ჩინური იმპერიალიზმის ბუნება ვერაფერმა ვერ შესცვალა: „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“... ბოროტებით განმსჭვალულმა ამ ორმა ქვეყანამ თავისი წარსული დაანგრია და ახალის აშენებას ველარ ახერხებს, რადგან მათი მოქმედებიდან გამორიცხულია ნორმალური აღმშენებლობის წინდაწინი პირობა — სიყვარული.

დღეს, ქრისტეს შობის დღესასწაულზე, ვივიგონებთ რა ქრისტიანული მოძღვრების უდიდეს როლსა და დამსახურებას საქართველოს ცხოვრებაში, ასევე ქრისტიანული განცდებით: სიყვარულითა და სათნოებით ულოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს ყოველ ქართველს როგორც უცხოეთში, სამშობლოს ჰაერ ნატრულთ, ისე რუსეთის მიერ ტყვედ ქმნილ საქართველოში მცხოვრებთ და უსურვეთ სიმხნევეს და გამარჯვებას.

გ ზალდასტანიშვილი

ბასიანის ომი

შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორი სათნოებით და მაღალ რელიგიური რწმენით იცავდა ქართველი ერი ქრისტეს მოძღვრებას.

1206 წ. ქ. კარის და მისი მიდამოების აღებით გამძინვარებული მუსლიმანობა რევანშის ხასიათზე დადგა. საქმე ითავა რუმის სულტან რუქნადდინმა. მან მიმართა მთელ სამუსულმანო სამყაროს და მოუწოდა რათა საქართველო „სანიმუშოდ დაესაჯათ“. გამოხმაურება იყო ფართო. რუქნადდინმა შეაგროვა ოთხასი ათასიანი არმია და მოადგა საქართველოს. დაიბანაკა ბასიანში, საიდანაც მან,შიკრიკის ხელით, „უკმეხად შედგენილი წერილი გამოუგზავნა საქართველოს მეფეთა-მეფეს თამარს“. წერილში სხვათა შორის ნათქვამი იყო: „შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხრმალი მუსულმანთა ხოცად. ამიტომ მე წარმომივლენია მხედრობა ჩემი (და) აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყნისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომეგებოს, თაყვანი სცეს ჩათრსა ჩემსა, ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მაჰმადი აღიაროსო“.

ძლიერი სახელმწიფოს ბრძენმა და ძლიერმა მეფემ — თამარმა, მას ქრისტიანული მორალისთვის დამახასიათებელი პასუხი გასცა, ლოცვასავით ნაზი და ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცით:

„ძალსა ღრმთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსანი ჯვარისა მვედრებელმან წარვიკითხე წიგნი შენი რუქნადდინო და ვსცან სიცრუვენი შენი, რამე თუ ბჭე ღმერთი იყოს!

შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა და ჯვარსა წმინდისა რომელი შენ ჰგმე აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინა მოგებად შენდა“.

ასე აითვისა საქართველომ ქრისტიანობა. რომელმაც შემოგვინახა ეროვნული პიროვნება; შეგვიქმნა „ოქროს ხანა“ და კულტურის საამაყო ნიმუშები.

მართალია ათეისტურმა რუსეთმა შეაჩერა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრესი და გეოგრაფიული რუკიდანაც წაგვშალა, მაგრამ საქართველოს სახსენებელი მაინც ვერ გააქრო და — ჯვარითა და ხმლით „კიდევ იბრძვიან ჩვენი ცეცხლის მხედრები“...

ხრუშჩოვის გარდაცვალება

ნიკიტა ხრუშჩოვის გარდაცვალებას ისევე შეხვდა საბჭოთ კავშირის ოფიციალური ხელმძღვანელობა, როგორც ყოველ მომაკვდავს ხვდებიან ყველგან. ალბათ დაიტირეს მისმა ახლობლებმა და ამით დასრულდა, ერთ დროს კრემლის დიქტატორის სვე-ბედი. სამაგიეროდ, მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა უცხოეთში. მრავალმა თავფქვილა ჟურნალისტმა მიუძღვნა თბილი და მგრძნობიარე ნეკროლოგი და საბჭოთა კავშირის ახალ გზაზე... გალიბერალებულ და გადემოკრატებულ გზაზე გადამყვანი ბელადი მწუხარებით დაიტირეს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროთ მივაჩნია ჩვენს მკითხველს გაუზიაროთ ჩვენი ფიქრი და აზრი და გავიხსენოთ ვინ იყო ხრუშჩოვი და საიდან მოევლინა კაცობრიობას?

ხრუშჩოვი დაიბადა 1894 წლის აპრილში, ხოლო დაბადებიდან 22 წლის თავზე ის მიეკუთვნა კომუნისტურ პარტიას. მან დაასრულა პარტიული სკოლა, რომელიც ლენინმა კომუნისტური კადრების აღსაზრდელად დაარსა. ამგვარად ის აღიზარდა კომუნისტურ მორალზე და საუკეთესოდ შეითვისა, პარტიულ იდეოლოგიასთან ერთად, შინა პარტიული ინტრიგები, დაუნდობლობა, მრისხანება და სისხლის ღვრა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ, რუსულ კომუნისტურ პარტიაში პირველობისთვის ატეხილ დავაში ხრუშჩოვი სტალინს მიემხრო და მისი პროპაგანდისტი გახდა. უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში, დაბებში და სოფლებში „დონბასელი მუშის“ ფსევდონიმით ეწეოდა სტალინის სასარგებლოდ დაუღალავ და ენერგიულ პროპაგანდას.

როდესაც სტალინმა დაიმკვიდრა პირველკაცობა,მან არც თავისი ერთგულები დაივიწყა და ხრუშჩოვი მთელი უკრაინის უფლება შეუზღუდველ მფლობელად დაინიშნა. 1937-38 წლებში, როდესაც სტალინმა სისხლის ზღვა დააყენა, მას არც ხრუშჩოვი ჩამორჩა და უკრაინის საუკეთესო შვილებს, თავისი პარტიული ამხანაგებიც მიაყოლა და ყველას ერთად მუსრი გაავლო.

ხრუშჩოვის მუხანათობას ნათლად ამჟღავნებს სწორედ იმ პერიოდში (1937 წ.) ერთი ფაქტი: ხრუშჩოვმა დიდი ზეიმი მოაწყო; დაპატიჟა მისგან განწირული ამხანაგები, შემდეგ ლხინის დროს, თავს დაასხა საიდუმლო პოლიცია და გააჟლეტინა. ცხადია, ეს „ნიჭიერად“ მოწყობილი მკვლელობა სტალინის თვალში მას უფრო აამაღლებდა და ნდობას მოუმატებდა. მართლაც, ხრუშჩოვი გაიზარდა, განდიდდა და სტალინის სისხლის ღვრების ერთი თვალსაჩინო აქტიური მომქმედი პირი გახდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, კრემლში ხელმეორედ ატეხილ პირველობისათვის ბრძოლებში. ხრუშჩოვმა ზედმიწევნითი სიზუსტით გაიმეორა სტალინის ტაქტიკა: ჯერ განაგვირგვინა თავისი „გამზრდელი და მასწავლებელი“ და ის ხალხის მტრათ და „სოციალიზმის“ მოღალატეთ გამოაცხადა. შემდეგ ხელი მიჰყო სავარაუდო კონკურენტების მოშორებას. პირველ რიგში მოკლა თუ მოაკვლევინა საიდუმლო პოლიციის სისხლის მსმელი მეთაური, ბერია, შემდეგ „ანტიპარტიული“ მუშაობისათვის საქმეს განარიდა და მმართველობას მოაშორა მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მარშალი ჟუკოვი და უფრო მოგვიანებით ბულგანინი. დასავლეთელების ზეპირ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ შეფასებით, თვით ფაქტი რომ არ დახოცა და მხოლოდ მოიშორა, ხრუშჩოვის ლმობიერებით და კომუნიზმის გალიბერალებით აიხსნება. მათ ავიწყდებათ, რომ ესეც სტალინის ტაქტიკის განმეორება იყო. არც სტალინს დაუწყვია თავისი კონკურენტების დაუყონებელი ხოცვა, ის ამის ეშხზე თანდათანობით მოვიდა. მაგ. მან ტროცკი, ჯერ კავკასიაში, მერე ოსმალეთში გადაასახლა და მხოლოდ მოგვიანებით, მექსიკაში, თავის აგენტს მოაკვლევინა. ასეთი „ლმობიერებით“ დაიწყო სტალინმაც პიროვნული დიქტატურისაკენ სვლა. ხრუშჩოვის მოქმედება ამის ფოტოგრაფიული განმეორება იყო.

1956 წელში, სტალინი უკვე მკვდარი, განგვირგვინებული და ხრუშჩოვის „კოლექტიური მმართველობა“ და „გალიბერალებული კომუნიზმი“ დამყარებული იყო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა, რომ იმავე წლის მარტში ხრუშჩოვის „კოლექტიური მმართველობის“ ბრძანებით თბილისის ქუჩებში რუსულ ტანკებს ესრისა ქართველი ახალგაზრდები და რუსულ ტყვიამფრქვევებს ეცხრილად დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი თუ ნორჩი.

„კოლექტიური მმართველობის“ ავტორს და „გალიბერალებული კომუნიზმის“ ლიდერს ხელი არაფერმა შეუშალა, რომ იმავე 1956 წელში მონგოლური შეუბრალებლობით ეჟლიტა უნგრელი მამულიშვილები და რუსულ ტანკებს გადაეხნა მთელი უნგრეთის ტერიტორია.

აი, ვინ იყო გამოცხადებული დასავლეთის მიერ „თვინიერ კომუნისტად“ და ვინ დაიტირა ომის ფსიქოზით გონება არეულმა „დემოკრატიამ“!

მაგრამ ეს სრულებითაც არა ნიშნავს, რომ საბჭოეთის ცხოვრებაში ნიკიტას ეპოქას არავითარი კვალი არ აღმოუქმნია.

კრემლის უმაღლეს საფეხურზე ასულმა ნიკიტამ დოინჯ შემოყრილმა გადმოსძახა კაცობრიობას : დასრულდა შიშის, შიმშილის და სიღატაკის პერიოდი .მოვიშორეთ სისხლის მსმელი სტალინი და მისი ხალხის ულვთოდ მტანჯველი გარემოცვა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქვეყანას არ შეუძლიან მარტო ზარბაზნებით იცხოვროს, მას სჭირდება პური და ხანდისხან მაინც კარაქიცო. ეს იყო პირველი საჭარო აღიარება, რომ საბჭოთა კავშირმა ვერც პურით, ვერც კარაქით და ვერც სხვა პირველმოთხოვნილების სანოვაგით, ვერ დააკმაყოფილა თავისი მოქალაქე.

დასავლეთელ უნიჭო და უვიც „სპეციალისტების“ წყალობით, შეიქმნა რუსეთის უძლეველობის შთაბეჭდილება. ამ დროს ხრუშჩოვმა ნიღაბი ჩამოიხადა და გამოირკვა, რომ რუსეთი ეკონომიურად განუვითარებელი და ჩამორჩენილი ქვეყანაა. როცა დასავლეთი დააფრთხო რუსულმა „სპუტნიკმა“, „ლაიკამ“ და ცისა და ხმელეთის დამპყრობი გაგარინების სახელი პირზე ეკერა ყველას, აქაც ხრუშჩოვმა „გვიხსნა გაჭირვებისგან“. კუბის ავანტურის დროს, საკმარისი იყო კენედის „მორცხვი და თავშეკავებული“ თითის გაქანება, რომ „ძლიერი სახელმწიფოს“ მეთაურს გუდა-ნაბადი აეკრა და კუბიდან გაქცეულიყო.

თუ ამერიკის ამ „მორცხვი“ საქციელის სიღრმეს ვერ ჩასწვდა „თავისუფალი“ მსოფლიო, სამაგიეროთ ეს ზედმიწევნითი სისწორით ახსნა თვით საბჭოთა მოქალაქემ.მათ იგრძნეს, რომ სტალინს თან გადაჰყვა, არა მარტო სისხლიანი წვიმები, არამედ თვით მმართველობის მარადიულობაც. მონობის არტახებში გაკრული ორასი მილიონიანი მოსახლეობა შეიშმუშნა... მან მოახლოვებული თავისუფალი ამოსუნთქვის შესაძლებლობა იგრძნო და ახალ-ახალი მიღწევებისთვის საბრძოლველად გაემზადა. მართალია, ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ, მაინც თავისუფლების პირველი მერცხლები უკვე გამოჩნდნენ. რუსული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა დაიძახა: მე ვარ ხელოვანი და არა ხელოსანიო (გამოთქმა ეკუთვნის კ, გამსახურდიას) და „შეკვეთები“ აღარ მიიღო.

მართალია კრემლი მიხვდა, რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა ახალმა ლიდერმა, მაგრამ გვიან იყო... მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი წავიდა.

ეს არის ხრუშჩოვის დამსახურება საბჭოთა მოქალაქის წინაშე; არა შეგნებული, არა წინდაწინ გამიზნული, არამედ „მასწავლებლის“ განგვირგვინების ცდაში ლაზღანდარულად წამოსროლილი სიტყვებით. ცხადია, ამით ფაქტი მაინც არ იცვლება და უნებური, მაგრამ მაინც დამსახურება, მას საფლავშიც თან ჩაჰყვება.

ადამიანის ამ ქვეყნიურ კეთილ თუ ბოროტ საქციელს, იმ ქვეყნად, ქვეყნიერების შემოქმედი სჯის და ამის და მიხედვით მიუზღავს საზღაურსა.

ჩვენ გვწამს, რომ უფალი ხრუშჩოვის განსჯაში არ შევიდოდა: მას უბრალოდ მიუთითებდა სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარებს და უფლებას მისცემდა ნებისმიერათ აერჩია თავისი სამუდამო სამყოფელი.

ნიკიტა აღმოჩნდებოდა გადაუწყვეტელი

საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

კავკასიიდან უკან დახევის შემდეგ, შტაუფენბერგის და მისი მეგობრების დიდი ცდის შემდეგ, გენერალი კოსტრინგი ჯერ მოხალისეთა ნაწილების ინსპექტორად, ხოლო მოგვიანებით მოხალისეთა ნაწილების გენერლად დაინიშნა. კოსტრინგი ამ პოზიციიდან ცდილობდა მოხალისეებისაგან განმათავისუფლებელი არმიის შექმნას; ხოლო როცა ეს იდეაც ჰიტლერის მიერ იქმნა აკრძალული, მან სხვა მიმართულებით დაიწყო ცდები, სახელდობრ, უფლებრივად მოხალისეების გერმანელ ჯარისკაცებთან სრული გათანასწორება. სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, კავკასიელი ოფიცრების გერმანულ სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნაც ამ მიზანს ემსახურებოდა. გარდა ამისა, გენერლის დავალებით, მოხალისე და გერმანელი ოფიცრები ხშირად ტყვეთა და აღმოსავლეთ მუშათა ბანაკებს ნახულობდნენ და იქ აღმოჩენილ ცუდი პირობების შემთხვევაში გენერალი მძაფრ პროტესტებს აცხადებდა. ამის გამო მას მრავალი უსიამოვნო სიტყვების გაცვლა-გამოცვლა მოუხდა გერინგთან, ზაუკელთან, კოხთან და ჰიმლერთან.

კოსტრინგმა იცოდა, რომ მისი ცდა და მუშაობა მხოლოდ მაშინ გამოიღებდა ნაყოფს, თუ ჰიტლერის და მისი სისტემის გადაგდება მოხერხდებოდა; მისი მოხალისეთა ნაწილები ერთგვარი წინამორბედნი იყვნენ ახალი და გაერთიანებული ევროპისა.

ჰიტლერის და მისი რეჟიმის საწინააღმდეგო შეთქმულების ანალიზი ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს, გარნა მოკლედ ვახსენებთ, რომ ეს ჯერ კიდევ 1938 წელს დაიწყო როცა გენერალმა ლუდვიგ ბეკმა —გერმანიის არმიის შტაბის უფროსმა, თანამდებობაზე ხელი აიღო. ამის მიზეზი ის იყო, რომ მისთვის ცხადი გახდა ჰიტლერის განზრახვა, სუდეტების საკითხის ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ძალით გადაჭრისა. ბეკის ადგილი დაიჭირა გენერალ ფრანც-ჰალდერმა, ასევე ჰიტლერის მოწინააღმდეგემ. მოსალოდნელი ომის თავიდან ასაცილებლათ ჰალდერი მზათ იყო ჰიტლერის დასაპატიმრებლათ და პოლიტიკური გადატრიალების მოსახდენათ. მისი გეგმით გენერალ ჰოპნერს და პირველ დივიზიას განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშათ ამის შესრულებაში. ეს აჯანყება არ მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემბერლენის მიუნხენის კონფერენციამ, შეაძლებინა ჰიტლერს სუდეტების ტერიტორიის უომრათ მიღება და შესაფერისი მომენტი დაიკარგა. (სამწუხაროთ, ამ გაკვეთილმა ზოგ დასავლეთელ პოლიტიკოს თვალები ვერ აუხილა).

მოხალისეთა ნაწილებთან დაკავშირებით ზემო ნახსენებ გრაფ შტაუფენბერგს, ჰიტლერის საწინააღმდეგო აჯანყების იდეა პირველად შთააგონეს, მისმა ბიძამ, გრაფ ნიკოლაუს ფონ უქსკულმა და მისმა მეგობარმა აგრეთვე ზემო ნახსენებმა, ქართველების მეგობარმა შულენბურგმა — 1939 წელს.

მათ აღუწერეს შტაუფენბერგს გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვდა მოქმედებას და უთხრეს ისიც, რომ ბეკი მხედართა შორის ცენტრალური პიროვნება იყო ჰიტლერის წინააღმდეგ. ჯგუფს ეკუთვოდა, ან მასთან ახლო იდგა მრავალი შესანიშნავი გერმანელი, მხედარი, თუ მოქალაქე (იხ. **Stauffenberg. Joachim Kramarz, The MacMillan Company, New York**). მოგვიანებით, პოლკოვნიკი შტაუფენბერგი, მისი სულის ჩამდგმელი, ორგანიზატორი და ყველაზე აქტიური წევრი გახდა.

ამ ჯგუფის რამოდენიმე მნიშვნელოვანი წევრი დიდ დახმარებას და მფარველობას უწევდა ქართველებს, სხვა აღმოსავლეთის ერებს და მათ საკავშირო შტაბებს. შულენბურგის და შტაუფენბერგის გარდა, მათ რიცხვს ეკუთვნოდა, აგრეთვე ზემო ნახსენები გენ. კოსტრინგის ადიუტანტი — ფონ ჰერვარდი, (ჰერვარდ ფონ ბიტენფელდ, ომის შემდეგ ერთ დროს დასავლეთ გერმანიის ელჩად დანიშნული ინგლისში). თითონ გენ. კოსტრინგი თანამგრძნობი იყო ჯგუფისა, მაგრამ არ ყოფილა აქტიური წევრი. როცა 20 ივლისს შეთქმულება დამარცხდა, გენერალისათვის ცხადი გახდა, რომ მისი მისიის ბოლომდე მიყვანა მოხალისეთა ნაწილებთან დაკავშირებით შეუძლებელი იქნებოდა. (**General Köstring. Bearbeitet von A. Teske. Verlag E. S. Mittler und Sohn. Frankfurt/Main** გვ. 12)) ამ შეთქმულების გამო სიკვდილით დაისაჯა ხუთიათასზე მეტი საუკეთესო შვილი გერმანიისა.

გერმანიის არმიის შტაბის გარდა, აღმოსავლეთის საკითხებით, ცხადია, დაინტერესებული იყო აგრეთვე გერმანიის სრულიად შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა. ამ უწყების დაზვერვის განყოფილების უფროსი იყო ადმირალი ვილჰელმ კანარიჩი. ამ შესანიშნავ გერმანელსაც გულში ღრმა სიძულვილი ჰქონდა ჰიტლერის და მისი რეჟიმის (იხ. **General Köstring. Verlag E. S. Mittler und Sohn. Frankfurt/Main** გვ. 92, 93). იგი მოქმედებდა შულენბურგის, შტაუფენბერგის და კოსტრინგის მსგავსად ჰიტლერის პოლიტიკის შესაცვლელად. სხვათა შორის, ის განუწყვეტლივ იბრძოდა აღმოსავლეთ ფრონტზედ აყვანილ ტყვეთა დასაცავათ, რომელთა რიცხვი 1941 წლის ზამთრის დასაწყისში 3.800.000-ს აჭარბებდა.

ამ მოსაზრებით კანარისი პირადათ და თავის უახლოეს თანამშრომლების საშუალებით მიმართავდა იმ უწყებებს, რომლებიც ტყვეების საკითხში პასუხიმგებლები იყვნენ. აქ კანარისის არგუმენტები თავისებური კომბინაცია იყო, ჰუმანური-კეთილსინდისიერების მოტივების და რეალისტურ-პრაგმატული მხარისა; (იხ. **German Rull in Russia, (1941-1945) by Alexander Dallin, MacMillan and Co. Ltd. New York, St. Martins Press, page 416**) მისთვის ცხადი გახდა, რომ მარტო ჰუმანური მოსაზრებებით კაიტელზე, გესტაპოელ მიულერზე და ბორმანის პარტიის კანცელარიაზე გავლენის მოხდენა შეუძლებელი იყო, ამიტომ იგი თავის მიმართვებში ხაზს უსვამდა: ჯერ ერთი საბჭოთა ტყვეებთან მოქცევაში ინტერნაციონალური კანონის და წესის დარღვევას და მეორე იმას, რომ ტყვეთა ბანაკებში გამეფებულ პირობების გამო, შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირში არსებული ცუდი მდგომარეობის პოლიტიკურა დ გამოყენება. კანარისის სიტყვებით ასეთი მოქცევა ტყვებისადმი, საბჭოთა მთავრობას უდიდეს საშუალებას აძლევდა საბჭოთა ადამიანების გერმანელების წინააღმდეგ მობილიზაციისა. ყოველი ასეთი ცდა ადმირალისა უშედეგოთ დამთავრდა. მისი მოწინააღმდეგენი საპასუხო არგუმენტად იყენებდნენ, სხვათა შორის იმასაც, რომ, როგორც უკვე ვახსენეთ საბჭოთა მთავრობამ ჟენევის 1929 წლის ტყვეთა დამცველ კონვენციაზე ხელი არ მოაწერა; ამიტომ „რაიხს“ ნება აქვს საბჭოთა ტყვეებს ისე მოექცეს, როგორც მას საჭიროდ დაინახავსო. (**German Rull in Russia (1941-1945) Alexander Dallin. MacMillan and Co. Ltd. New York St. Martins Press. page 419**).

გარდა ამისა, ოფიციალურმა საბჭოთა პოზიციამ, რომ — ტყვეთ ჩავარდნილი ჯარისკაცი მოღალატე იყო და არა ღირსი დაცვისა, დამატებით ხელი შეუწყო ტყვეებისათვის ცუდი პირობების შექმნას გარმანიაში. (იხ. იქვე გვ. 420). მოსკოვის მიერ ზემონათქვამი ხაზი იქნა გაგრძელებული მაშინაც კი, როცა ინტერნაციონალური წითელი ჯვარი ომის დროს შეეცადა ტყვეთა დასაცავად ჩარეულიყო. (იხ. იქვე გვ. 420).

საბჭოთა პროპაგანდისტები ცხადია ამ ფაქტებზე იქ გამოსულ წიგნებში არ ლაპარაკობენ. ისინი ადმირალ კანარისის წარმომადგენლებს. მათ შორის იმდროინდელ კაპიტან თეოდორ ობერლენდერს, ჩვეულებრივი უსირცხვილობით აბრალებენ, თითქოს მათ ტყვეები განგებ დაამშიეს, რათა აიძულებინათ „ბერგმანში“ შესულიყვნენ. სწორედ ამის საწინააღმდეგო იყო მართალი. როცა ობერლენდერი კანარისის დავალებით შეუდგა კავკასიური სამხედრო ნაწილის „ბერგმანის“ შედგენას. ცხადია ძირითადათ ასეთი ნაწილი ომის წარმოებისთვის იყო საჭირო, გარნა ამის გარდა ორივეს სურდათ ამ ნაწილის გამოყენება ჰიტლერის გერმანული პოლიტიკის შესაცვლელად. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ეს ნაწილი დაამტკიცებდა კავკასიელ და გერმანელთა შორის, ახალ ევროპის პრინციპებზე თანამშრომლობის შესაძლებლობას, რისი გავრცელება და გადატანა სხვა ერების მიმართაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ექსპერიმენტის შედეგათ. ამგვარად, ისინი იმავე მიმართულებით მოქმედებდნენ, როგორც შულენბურგი, შტაუფენბერგი და კოსტრინგი.

როცა „ბერგმანი“ კავკასიის ფრონტზე გაიყვანეს, ობერლენდერმა დაუყონებლივ ითხოვა და მიიღო ნებართვა ამ ფრონტზე მყოფი არმიის შტაბიდან, რათა ამ ტერიტორიის ყოველ ტყვეთა ბანაკში „ბერგმანიდან“ წარმომადგენელი გაეგზავნათ ტყვეთა მდგომარეობის თვალყურის სადევნებლათ. თვით ობერლენდერი და მისი კავკასიელი, თუ გერმანელი წარმომადგენლები დრო გამოშვებით ამ ბანაკებს ნახულობდნენ და ამით მათ მრავალი ათასი ტყვის სიცოცხლე გადაარჩინეს (იხ. **Political Assasination. Herman Rasch hofer. MCML. XIV. Published by F. Schlichetenmayer, Tübingen, page 79**).

ობერლენდერმა საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებით, მრავალი წერილობითი პროტესტი გააგზავნა შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბში და ჰიტლერის კანცელარიაში, უკრაინაში და რუსეთში გერმანიის „პოლიტიკის“ წინააღმდეგ და ამის კავკასიაში თავიდან ასაცილებლათ. დამახასიათებელია ერთ-ერთი ასეთი მემორანდუმი სადაც იგი სხვათა შორის ამბობს:

. . . „ფაქტი ის არის, რომ სლავიანები — აღმოსავლეთ სლავიანების ჩათვლით, რომლებიც საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდნენ, ევროპიელები არიან და ამნაირად განუყოფელი ნაწილია ევროპისა. მათი მოხალისეობის ნიადაგზე თანამშრომლობის გარეშე, ახალი ევროპის აშენება შეუძლებელი იქნება; მათი რიცხვი დაახლოვებით ნახევარია მთელი ევროპის მოსახლეობის, ხოლო ბუნებრივი სიმდიდრენი იმ სივრცისა, რომელზედაც ისინი სახლობენ, დიდათ სასარგებლო შემატება იქნება ევროპის ეკონომიური სტრუქტურისათვის. პოლიტიკურათ ჩვენთვის მომაკვდინებელი იქნება და ფაქტების საწინააღმდეგო, თუ გადავწყვიტეთ, რომ სლავიანებში მდარე ხარისხოვანი რასსა დავინახოთ და აღმოსავლეთისადმი კოლონიალური პოლიტიკის გზას დავადექით. ევროპის მიწა-წყალზე დღეს ადგილი არ არის კოლონიებისა და კოლონიალური ექსპლოტაციისათვის. კატასტროფიულია აგრეთვე, რომ ამ შემცდარმა შეფასებამ აღმოსავლეთ სლავებისა, გზა გაუკაფა პოლიტიკურ სიბრიყვეს, რისი მიხედვითაც, „აღმოსავლეთის ხალხის“ წოდების ქვეშ აგრეთვე სხვა ერებიც, მაგ. ესტონელები, ლატვიელები, ლიტველები და კავკასიელები, რომლებიც ევროპასთან ორიათასი წელიწადი დაკავშირებული იყვნენ დაქვეითებულნი იქმნენ, რაღაც ფანტაზიური დაბალ ხარისხოვან ადამიანებათ“. . . . (იხ. **Political Assasination. Herman Rasch hofer. MCML. XIV. Published by Schlichetenmayer, Tübingen, page 99**).

„ბერგმანში“ მყოფ ზოგიერთ ქართველ ემიგრანტს, ძველს თუ ახალს, მრავალი საუბარი ჰქონდა ობერლენდერთან, სადაც ისინი ერთად გმობდნენ ჰიტლერს, მის ნაციონალ-სოციალისტურ პოლიტიკას და განსაკუთრებით კი რასიულ დევნას (იხ. იგივე წიგნი გვ. 87). მაგალითად, ბერგმანში ჯარისკაცებად იყვნენ სამი ქართველი ებრაელი როცა ეს ობერლენდერმა შეიტყო, ზოგიერთ ქართველს ურჩია, რათა ამის შესახებ ხმა არ გაევრცელებინათ და ეს სამივე ჯარისკაცი ბერგმანში იქმნენ დატოვებულნი. ეს ფაქტი, რომ ბორმანის კაკანცელარიაში, ან ჰიმლერის ყურამდე მისულიყო, კანარისი და ობერლენდერიც დიდ საფრთხეში ჩავარდებოდნენ. ცხადია, ქართველებისათვის სავსებით ბუნებრივი იყო, თავის თანამემამულე ებრაელებისათვის მოევლოთ და ისინი შეენახათ. ქართველი ებრაელები საუკუნოების განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში, ისინი არამც თუ შეიგუა, არამედ იშვილა და შეიყვარა ქართველმა ერმა; ქართული მიწა-წყალი, მათი მიწაწყალი გახდა და საქართველო მათი სამშობლო. ისინი სხვა ქართველებთან ერთად, მხარ და მხარ, საქართველოს ისტორიის გრძელ მანძილზე იბრძოდნენ მისი დამოუკიდებლობის დასაცავად. ანტისემიტიზმი საქართველოში არ არსებობდა; ქართული ეკლესია სავსებით თავისუფალი იყო რელიგიური ფანატიკოსობისა და სიძულვილისაგან, რომელიც, სამწუხაროდ ასე ახასიათებდა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. მეფის რუსეთის ბატონობის დროს, რუსი შოვინისტ-შავრაზმელები შეეცადნენ მრავალ პროვოკაციებს და „პოგრომების“ მოწყობას საქართველოშიც, გარნა აქ მათ ჭუჭყიანი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. დღესაც საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა სინაგოგების ნახევარი საქართველოშია შენახული. ეს იყო, არის და იქნება ბუნება ქართველი ერისა.

სამი ქართველი ებრაელი ბერგმანში იბრძოდნენ იმ რწმენით, რომ ეს საჭირო იყო იმ მომენტში საქართველოს საკეთილდღეოთ. ერთი მათგანი, ჯარისკაცი პანკრაძე თავის ტყვიამფრქვევს არ მოშორებია, ვიდრე სასიკვდილოთ დაჭრილმა ვაჟკაცმა სული არ განუტევა. დარწმუნებული ვართ, რომ როდესმე, როცა ქართველ მემატიანეს რუსის ხიშტის ქვეშ აღარ დასჭირდება წერა, ის პანკრაძის მსგავს მამულიშვილთა სახელებს ამაყად აღნიშნავს. იგი, ალბათ იმასაც მოიგონებს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველები ყოველგვარი პირობების მიუხედავად, ქართული ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ და სწორედ ამიტომ დაიცვეს და გადაარჩინეს მრავალი ქართველი და არა ქართველი ებრაელი თავის-თავის საფრთხეში ჩაგდებით. ამის გამო ქართულმა შტაბმა მიხეილ კედიას სახელზე სამადლობელი წერილები მიიღო საფრანგეთში არსებულ ებრაელების ორგანიზაციებისაგან და მათ შორის პარიზის დიდი რაბინის, ვეილინისაგანაც. დამახასიათებელია ადგილი **Association Cultuelle Sepharadite de paris**-ს პრეზიდენტ მოსსერის წერილიდან, 18 ოქტომბერი 1944 წლისა: . . .„ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ენერგიული და რაინდული ჩარევისათვის, რომელიც ასე დამახასიათებელია კეთილშობილი ქართველი ერის საუკეთესო ტრადიციების. ამით თქვენ არა მარტო გადაარჩინეთ და დამამცირებელ მდგომარეობიდან გამოიყვანეთ თქვენი ებრაელი თანამემამულეები, არამედ გარდა ამისა ინტერნირებისაგან გადაარჩინეთ მრავალი სხვა ადამიანი . . .“ (წერილები ჩვენთან ინახება).

ამას ჩვენ მოგვიანებით კიდევ შევეხებით, ხოლო კერძოთ „ბერგმანთან“ დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილით ზურგ გამაგრებულმა კაპიტანმა ობერლენდერმა აგრეთვე მრავალ ჩრდილო კავკასიელ ებრაელის სიცოცხლე გადაარჩინა. (იხ. იქვე გვ. 213). მან აგრეთვე თავის პროტესტებით და განუწყვეტელი ჩარევით მიაღწია იმ სამხედრო ბრძანების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც ის ტყვეები, რომლებიც უკან დახევის დროს უკან ჩამორჩებოდნენ უნდა დაეხვრიტათ. (იხ. იქვე გვ. 209). ამგვარი მოქმედების გამო, 1943 წლის შემოდგომაზე, ობერლენდერი „ბერგმანის“ უფროსობიდან მოხსნეს, ჯარიდან გარიცხეს და ბევრჯერ დაკითხულ იქმნა გესტაპოს მიერ. ადმირალი კანარისი კი ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის, მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს.

საბჭოთა პროპაგანდისტები ლენინური პრინციპების თანახმად, ამ ფაქტებზე თვალებს ხუჭავენ და სხვა წარმოუდგენელ სიყალბეთა შორის ობერლენდერს „შტურმბანფიურერს“ უწოდებენ, მაშინ როცა იგი ჯარის კაპიტანი იყო და „ეს-ესთან“ არავითარი საერთო არა ჰქონდა, ისევე, როგორც არც ერთ „ბერგმანში“ მყოფი კავკასიელ თუ გერმანელ ჯარისკაცს. ცხადია, ობერლენდერს, ომის შემდეგ, რომ თავისი სამსახური აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური რეჟიმისთვის შეეთავაზებინა, მასზე კრიტიკას იქ გამოსულ წიგნებში ვეღარ ვიხილავდით, მართალიც რომ ყოფილიყო. ასე მოიქცნენ ზოგი დამნაშავე ნაცისტები და რადგან მათ დასავლეთ გერმანიაში გასაჩერებელი პირი აღარა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ზონას შეაფარეს თავი. ტყუილია თუ მართალი, არავინ იცის, მაგრამ ჯიუტი ხმები დადის გერმანიაში, თითქოს იქ თავშეფარებულ ნაცისტებს შორის ბორმანიც კი იმყოფება.

სხვა ურიცხვ გაყალბებათა შორის, ზემო აღნიშნულ წიგნთა ავტორებმა კაპიტან წიკლაურს, ვიღაც არ არსებული ქართველი ჯარისკაცი მოაკვლევინეს, რითაც კაპიტანმა, თითქოს ფიქტიური, არ არსებული გერმანელი კომუნისტი ქალი გაცემისაგან გადაარჩინა. სრული სიცრუეა აგრეთვე, თითქოს წიკლაურს რკინის შკაფი ჰქონდა, სადაც შეთქმულ „პატრიოტების“ სიას ინახავდა, რომელიც ვიღაც ხელოსან გერმანელის დახმარებით გახსნილ იქმნა და ჩვენს მიერ სია აღმოჩენილი. როგორც ერთხელ უკვე ნახსენები იყო, წიკლაურ-ტაბიძის მცირე რიცხოვან ჯგუფის შეთქმულება გასცა ჯარისკაცმა ზურგიშვილმა. მან „შეთქმულთა“ არსებობა თარჯიმან ბაგრატ ჭანტურიას მოახსენა, რომელმაც ცნობა გადასცა ნაწილის უფროს, ობერლენდერს. მოგვიანებით ზურგაშვილმა იგივე გაუმეორა, თარჯიმან ბ. ჭანტურიას საშუალებით ობერლენდერს; ობერლენდერმა მთხოვა ამ შეხვედრას მეც დავსწრებოდი, ალბათ იმიტომ, რომ დამატებითი მოწმე ჰყოლოდა ამ სერიოზული მოხსენების დროს. ზურგაშვილის ნაამბობის გარდა იმ დროს არავითარი საბუთი არ არსებობდა, ასეთი შეთქმულების მართლა არსებობის დასამტკიცებლად.

მოგვიანებით ერთმა ქართველმა ოფიცერმა, წარმოადგინა ტაბიძის ჯგუფის ერთი წევრის წერილი, მიწერილი მეორე წევრთან, რომლის შინაარსი შეთქმულების არსებობის იდეას იძლეოდა. რადგან ამ დროს „ბერგმანის“ ყველა ჯარისკაცებს გარმანულ ჯარში ფიცი უკვე მიღებული ჰქონდათ, ობერლენდერი იძულებული იყო ეს საქმე გასარჩევათ სამხედრო სასამართლოსათვის გადაეცა. (იხ. იგივე წიგნი, გვ.82). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერგმანელების მიერ სამხედრო ფიცის მიღების დროს ადმირალ კანარისთან შეთანხმებული და გამომუშავებული იქმნა ფორმულა, რომლის მიხედვითაც, ფიცის ტექსტიდან „ჰიტლერისადმი ერთგულება“ გამორიცხული იყო, რაიცა „ბერგმანის“ ერთეულს პოლიტიკურ ავტონომიას ანიჭებდა. (იხ. იგივე წიგნი, გვ. 76).

სამხედრო სასამართლო თურმე 12 დღე გა-

ხრუშოვის გარდაცვალება

(დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.)

დილემის წინაშე: თუ სამოთხის კარი შეაღო, იქ დახვდებოდნენ მისგან გაჟლეტილი მილიონები; თუ ჯოჯოხეთისა — იქ დახვდება — განგვირგვინებული მრისხანე ულვაშა.

რომელს აირჩევდა ნიკიტა, შენ რას ფიქრობ მკითხველო?

დ. ბერდიაშვილი

ზოგიერთი შენიშვნები

(რეცენზიის მაგიერ)

ამას წინად თურქეთში გამოვიდა პატარა, ლამაზად და მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი: „თურქეთი — შავი ზღვა“. წიგნი დაწერილია გერმანულ ენაზე და რა თქმა უნდა განკუთვნილია ტურისტებისათვის.

ჩვენ ამ წიგნში ის ადგილები გვაინტერესებს, რომელიც საქართველოს ეხება და ეს საკითხი გვეხება იმდენად, რამდენადაც ამ ადგილებთან არის დაკავშირებული საქართველოს სამეფოს ისტორიის მსვლელობა. ამ წიგნში ლაპარაკია ალექსი კომნენოსიზე, რომელმაც ტრაპიზონის იმპერია დააარსა და არაფერია ნათქვამი იმ როლზე, რაც ამ იმპერიის დაარსების საქმეში საქართველოს სამეფომ ითამაშა, მისი მეფის, დიდი თამარის დროს.

როგორც ცნობილია, 1204 წელს ჯვაროსნებმა, სამწუხაროდ და სავალალოდ, ბიზანტია დაინაწილეს. სწორედ ამ დროს საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ჩაება ბიზანტიის საქმეში. ქართულმა ლაშქარმა თამარ მეფის ბრძანებით, დაიკავა ჭანეთი, ანუ ლაზეთი, რასაც დღეს ლაზისტანს ეძახიან და სადაც სახლობენ ქართველი ტომები ჭან-ლაზები. ამავე დროს დიდი თამარის ძლევამოსილმა ჯარმა აიღო თვით ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, ჰერაკლეა და სხვ. ამ დაპყრობილ ქვეყნებიდან დიდმა თამარმა შექმნა ცალკე სახელმწიფო, სადაც მეფედ დასვა საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი, ბერძენი უფლისწული, თამარ მეფის ნათესავი ალექსი კომნენოსი. აი ამ იმპერიაზე იყო ქართული სამეფოს პოლიტიკური გავლენა. ეს სამეფო მოექცა საქართველოს მფარველობაში.

როცა ტრაპიზონზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ აუვლით იმერეთის მეფის სოლომონის ტრაგიკულ ბედს, გამოწვეულს სამშობლოს ტრაგიკული ბედიდან. მტრისაგან დევნილმა, მან თავი თურქეთს შეაფარა და ტრაპიზონში გაითხარა მისი საფლავი. ერთხანს მის საფლავზე, როგორც ამბობენ, ძეგლიც კი მდგარა, მაგრამ ჟამთა ვითარებაში საფლავი გაპარტახდა და ბოლოს დაიკარგა კიდეც. გერმანელი მეცნიერი და ქართველი ერის მეგობარი, ო. გ. ფონ ვესენდონკი თავის წიგნში „აუს დერ კაუკაზიშერ ველტ“, რომელიც გამოვიდა 1925 წელს ბერლინში წერს: „ტრაპიზონში 1815 წელს გარდაიცვალა ღარიბი და ყველას მიერ მიტოვებული დასავლეთ საქართველოს — იმერეთის, უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე, რომელიც რუსებმა თავისი ქვეყნიდან განდევნესო“.

ამ წიგნში, სწორედ იმ გვერდზე, სადაც ტრაპიზონის აღწერაა, მოთავსებულია ფერადი სურათები თურქი ვაჟკაცებისა, მაგრამ ხელად გამოარკვევს კაცი მათ ვინაობას. ესენი ხომ პირწავარდნილი ლაზ-ჭანები არიან თავიანთი აღნაგობით, ბაშლაყშემოკრული ვაჟკაცები ნამდვილ მეგრელებს ჰგვანან.

შემდეგ წიგნში ლაპარაკია ამ მხარეში, შავი ზღვის სანაპიროზე სახლების მშენებლობაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ ეს საცხოვრებელი სახლები თავისებურ მშენებლობას წარმოადგენსო, მაგრამ ერთი სიტყვა არ არის დაძრული, რომ ეს „თავისებური“ ნაგებობანი, სწორედ ლაზურ-ჭანური სახლებია. თუმცა თქმა რათ უნდა, განა კარგად დახედული უცხოელი ტურისტი ვერ შეამჩნევს განსხვავებას ანატოლიური ტიპის სახლებსა და ჭანურ-ლაზურ სახლებს შორის?

შემდეგ წიგნში აღწერილია ქალაქი ართვინი და ართვინის ოლქი. მოცემულია პატარა ისტორიული დეტალი ამ ქალაქისა და ოლქის. ჯერ იგი შედიოდაო პონტოს სამეფოში, შემდეგ მას დაეპატრონნენ რომაელებიო, და ბოლოს ეს ტერიტორია ხელთ იღო საქართველოს სამეფომაო. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ უცნაურია და თანაც ულოღიკო, როცა ამავე წიგნში ნათქვამია: „ეს მხარე 1921 წლის მარტში საბოლოოდ დაუბრუნდა ისევ თავის მშობლიურ მხარესო, ე. ი. თურქეთსო. ეს არის სწორედ ისტორიული სინამდვილის დამახინჯება და აი რატომ: დღიდან ქართული სახელმწიფოს წარმოშობისა, და მით უფრო ტაო-კლარჯეთის სამეფოს არსებობის დროს, ეს მხარე ქართულ სამეფოში შედიოდა. 1918 წელს ოსმალებმა დაიჭირეს იგი, ხოლო 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ჯარმა კვლავ დაიკავა იგი და საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. 1918 წლის მარტში, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, საბჭოთა ლენინურმა რუსეთმა ართვინის ოლქი ქართველი ერის დაუკითხავად მიუბოძა თავის მაშინდელ მოკავშირეს ქემალისტურ თურქეთს. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ეს მხარე თურქებმა ხელახლა დაიკავეს 1921 წლის თებერვალში. ლენინმა ეს სასიკვდილო აქტი 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დაადასტურებია ახლად შექმნილ საბჭოთა საქართველოს მარიონეტულ მთავრობას. ასე რომ ეს მხარე, ანუ ართვინი და ართვინის ოლქი კი არ დაუბრუნდა თავის „მშობლიურ მხარეს“, როგორც ეს ნათქვამია წიგნში, არამედ იგი თურქებმა, საბჭოთა რუსეთის დახმარებით, ძალით მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს — საქართველოს. მაგრამ დღეს კაცი არ არის საქართველოში, რომ ეს აღნიშნოს. მიუხედავად ამისა, ყველა ქართველმა კარგად იცის, რომ მხარე დაკარგულია, მაგრამ ეს დაკარგული ტერიტორიები არც ერთი ქართველი ადამიანის მიერ არ არის დავიწყებული.

დასასრულს ამ წიგნში ლაპარაკია შავშეთზე და სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ამ ადგილებში ქართული მოსახლეობააო. იქვეა ნათქვამი, რომ 364 წელს აქ ეკლესია უშენებია ქართველ მეფეს. შავშეთში ბევრია ქართული ეკლესიებიო, მოგვითხრობს წიგნის ავტორი. ბოლოს ნათქვამია, რომ სოფელი სარფისის ერთი ნახევარი ეკუთვნის თურქეთსა და მეორე ნახევარი კი რუსეთსო. კარგი იქნებოდა ეთქვა საქართველოსო. განა თურქმა ინტელიგენტმა არ უნდა იცოდეს ვინ მეზობლობდა თურქეთს ისტორიულად და ეხლაც ვინ მეზობლობს მას? სანამ რუსეთი თეთრია იგი თუ წითელი, შემოიჭრებოდა ჩვენს მიწა-წყალზე და გააუქმებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენობას?

მაგრამ რომელ მეზობლობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ვიგონებთ, თუ რა უბედურება დაატეხა თავს ოსმალების თუ თურქეთის მეზობლობამ საქართველოს. განსაკუთრებული უბედურება დაატყდა ჭანეთ-ლაზეთს, შავშეთ-ერუშეთს, ტაო-კლარჯეთს, მესხეთ-ჯავახეთს. ოსმალებმა ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიულ მხარეში აკაფეს ბაღ-ვენახები, აკრძალეს ღვინის დაყენება, ხოლო ხალხს ძალით მოახვიეს თავს მუსლიმანური სარწმუნოება. ოსმალეთმა, სპარსეთთან ერთად ვერ შეიგნო კავკასიური თავისუფალი სახელმწიფოების ბუფერული მნიშვნელობა და დააჩქარა საქართველოს სუვერენული ცხოვრების არსებობის მოსპობა. არც მაშინ, როცა ქართული სამეფო გვქონდა, არც მაშინ, როცა 117 წლის რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თურქეთი საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებით არაერთხელ დაესხა თავს საქართველოს.

კარგი იქნებოდა წიგნის ავტორს ეთქვა საქართველოსაო, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც საქართველოს საბჭოთა რუსეთმა წაართვა სუვერენობა, იგი ამოშლილია მსოფლიო რუკიდან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ ერი ხომ არსებობს, ქართველი ერი, რომელმაც კარგად იცის, რომ არამც თუ სოფელი სარფი, არამედ შავშეთ-ერუშეთი, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, არც საბჭოთა რუსეთისაა და არც თურქეთის საკუთრება. იგი ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყალია, სადაც სამი საუკუნის მანძილზე ულვრია საკუთარი სისხლი და სადაც განისვენებენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ძვლები.

სამწუხაროა, რომ ასეთ ყალბ ცნობებს ავრცელებს თურქეთის ტურისტული საზოგადოება და მის მეზობელ ქვეყანასაც უწოდებს არა მის ნამდვილ სახელს — საქართველოს, არამედ რუსეთს.

მინდია ლაშაური

დიდგორის ომი

(რადიო „თავისუფლების“ გადაცემა)

850 წლის წინ, აგვისტოს 12-ს, დიდგორის ომში, ქართულმა სამეფო ლაშქარმა, მეფე დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით ბრწყინვალედ გაიმარჯვა თურქ-სელჩუქთა კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდგორის ომის ამბები გასცილდა საქართველო-კავკასიის საზღვრებს. ეს იმდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომ მასზე, იმდროინდელი ისტორიკოსები და მწერლები, ქართველები, ევროპიელები და აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები დიდი გულმოდგინებით სწერდნენ. ამ დიდი ისტორიული მოვლენის დოკუმენტები დაცულია ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე.

11-ტე საუკუნის მიწურული და 12-ტეს პირველი მეოთხედი, საქართველოს ისტორიაში არის ყველაზე აღმავლობითი ეპოქა.

დავით აღმაშენებელი მკაცრად გაუსწორდა ქვეყნის ორგულ — სამეფო ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვაროვან ფეოდალებს. ქვეყნის შინა პოლიტიკის განმტკიცების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ხელი მიჰყო ქვეყნის განთავისუფლებას გარეშე მტრებისაგან. განთავისუფლება არ მომხდარა ნებაყოფლობის გზით, არამედ მას წინ უძღოდა დიდი და სახელოვანი ბრძოლა. 1103 წელს ქართულმა ლაშქარმა დალაშქრა და აიღო ზედაზენი. 1104 წელს ერწუხის ბრძოლის შედეგად საქართველოს შემოუერთდა ჰერეთი და კახეთი. 1110 წელს ქართველთა რეგულარულმა ჯარმა აიღო სამშვილდე. რეგულარური აქ იმიტომ ვახსენე, რომ დავით აღმაშენებელმა, მსოფლიოში პირველმა ჩაუყარა საფუძველი რეგულარულ არმიას. 1115 წელს აიღო რუსთავი, 1117 წელს დალაშქრა გიში, ხოლო 1118 წელს ლორე-ტაშირი შემოუერთა დედა საქართველოს. თბილისი ჯერ კიდევ არაბებს ეკავათ.

ამგვარად გაძლიერებულმა ქართულმა სამეფომ ბრძოლის ასპარეზი საქართველოს ფარგლებს გარეშე გადაიტანა. ქართულმა ლაშქარმა თურქი დამპყრობლები დაამარცხა ბორტიაში, აიღო ქალაქი ყაბალა, რის შემდეგაც შირვანს ილაშქრა წარმატებით.

მეფე დავით აღმაშენებელი დიდი კულტურის მქონე მონარქი იყო, ამავე დროს შესანიშნავი მჭერმეტყველი. იგი თავის მოწოდებით აღფრთოვანებდა ქართულ ჯარს. ბრძოლის წინ სიტყვით მიმართავდა მას და ბრძოლის უნარიანობას ამტკიცებდა ლაშქარში. როგორც ფრანგი გოტიე გადმოგვცემს, დავით აღმაშენებელს შემდეგი მგრძნობიარე სიტყვით მიუმართავს ქართული ლაშქრისათვის ბრძოლის დაწყების წინ: „მეომარნო ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. ერთ რამეს გირჩევთ; რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით შევუტიოთ“.

დიდგორის ეპოპეას ეხება აგრეთვე ჩვენი სახელოვანი მწერალი და მოაზროვნე, გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც თავისი შემოქმედებით სახელი გაითქვა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მან ვრცელი ადგილი დეუთმო მას. აი რას წერს გრიგოლ რობაქიძე, თავის სტატიაში: „საქართველოს სათავენი“: “... დავით აღმაშენებელი. ეს მეფური მართვა — კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: მართვა ანუ დგინება „მართლისა“ ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო „მითოსში“, არამედ ქართულ ისტორიაშიც. „რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალ-გვყვნა ღმრთმან ქვეყანასა განგებასა“ — ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ ნაწარმოებში: „ცხოვრებაი წმინდა გრიგოლ ხანძთელისა“. „სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთაჩემთაგან“ — ამბობს დიდი დედოფალი თამარ. კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით „მეფე-მღვდელიც“. სახელი მისი: აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას „სამღვთო წერილიც“ მიჰქონდა ხოლმე თან. ერთხელ „სამოციქულოს“ კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც „ხრმალი ქრისტესი“ ხან კი როგორც „ყმა ქრისტესი“. ხრმალი აქ მეფეა, ყმა კი მღვდელი. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული ... 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამომგზავნი იყო ანზელუსს, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთს პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგას შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი „ნოტრ დამი“ 1793 წელს. რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და აოხრეს. ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას. დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმოა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა „გოგსა და მაგოგს“ კასპიის ბჭენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო. ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენება „საკრავატრი“: მეუფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად ჰიგულვებენ ჩრდილო პოლია არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. „მზე-მეფენი“ გადმოცემის მიხედვით ამ „საკრავატრ“-ის მსახიერებელნი არიან, რომელნიც ავსა და უკულმართიან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს. გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი. ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგფრიდი, კაროლს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმულებებში ამნაირადვე ისახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ ღმერთთა დაბნელება, ეს მზე-მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, ალ-

(გაგრძელება იხ. 4-ხე გვ.)

საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(გაგრძელება იხ. 2-რე გვ.)

გრძელდა და იქ დამსწრე გერმანელ და ქართველ თარჯიმნების გადმოცემით იგი ზუსტად მისდევდა გერმანულ კოდექსს. მათივე გადმოცემით წიკლაურს თავი ღირსეულად ეჭირა, მას შეთქმულების არც ერთი ამხანაგი არ დაუსახელებია და შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებაზე ბოლომდე უარს აცხადებდა. ყველაზე უფრო დამამძიმებელი ჩვენება, ზურგაშვილის შემდეგ, ამ ჯგუფის წინააღმდეგ იყო თვით „პოლიტრუკ“ ტაბიძისა. მან სასამართლოს განუცხადა, თითქოს იგი შეთქმულებას შეუერთდა იმ მიზნით, რათა მათი გეგმები კარგად შეესწავლა და ამის შემდეგ გერმანელებისათვის მოეხსენებინა. გარდა ამისა, ტაბიძემ გერმანელებს შესთავაზა მომავალშიც მათთან ერთგული თანამშრომლობა. ცხადია, ტაბიძის ასეთმა გამოსვლამ საბოლოოდ დაამტკიცა ზურგაშვილის ჩვენების სისწორე და ერთი ქართველი ოფიცრის ზემო აღნიშნული წერილის მნიშვნელობაც. საქართველოში გამოსულ წიგნებში, სხვა მრავალთა შორის, ესეც გაყალბებულია. მათი მიხედვით თითქოს „საბჭოთა პატრიოტებმა“ ერთსულოვნად აღგზნებული ამაყი და ცეცხლოვანი სიტყვებით მიმართეს სასამართლოს.

სამხედრო სასამართლომ შვიდ ქართველს უმაღლესი სასჯელი, ხოლო რამოდენიმე სხვა ჯარისკაცს საპყრობილე მუსაჯა. (იხ. იქვე, გვ. 82).

დაახლოვებით ოცამდე ჯარისკაცი, რომლებიც ზურგაშვილის მოხსენების საფუძველზე არა სანდო იყვნენ, ობერლენდერმა გადაიყვანა ქალაქ ჰანაუს ალუმინის ქარხანაში მუშებათ. კარგად არის ცნობილი, რომ ეს ქარხანა საჯარიმო ბანაკი კი არ იყო, არამედ ფრანგ და სხვა მუშათა შორის იქ მყოფ ქართველებს ადვილათ ასატანი პირობები ჰქონდათ შექმნილი (იხ. იგივე წიგნი გვ. 83).

კანარისს და ობერლენდერს ეჭვი არ შეპარვიათ, რომ ამ უმცირესობის შეთქმულების მიუხედავათ „ბერგმანი“ სავსებით სანდო ერთეული იყო. საბჭოთა პროპაგანდისტები სხვა უსირცხვილო ტყუილთა შორის იმასაც ამბობენ, თითქოს, „ბერგმანის“ დიდი ნაწილი ფრონტზე გასვლის შემდეგ წითელი ჯარის მხარეზე გადავიდა. სინამდვილეში კი მთელი „ბერგმანი“ ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი პრინციპებისა. მან მრავალჯერ ისახელა თავი ბრძოლებში და როცა დამარცხებული გერმანელები კავკასიიდან, ყირიმიდან და მოგვიანებით ბალკანეთიდან უკან იხევდნენ „ბერგმანი“, უკან ჩამორჩენილი, ამ დახევას ხშირად საოცარი სიმამაცით იცავდა. ამ პირობებში ჯარისკაცის „უკან ჩამორჩენა“, „ მიმალვა“ და მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა ადვილია, გარნა ეს კავკასიელებს არ ჩაუდენიათ. (იხ. იგივე წიგნი, გვ. 75).

„ბერგმანის“ ამგვარი თავისდაჭერის მიზეზი იყო მხოლოდ ერთი რამ: იგი აშენებული იქნა კავკასიის ხალხთა კეთილდღეობისათვის სამსახურის ნიადაგზე, მისი ბრძოლა ამ იდეას მიეძღვნა და არა გერმანელებს, რუსებს, ან ვინმე სხვა დამპყრობელ ერს. საბჭოთა იაფფასიან პროპაგანდისტებს, რომ სერიოზული ცოდნა-განათლების, ობიექტიური ანალიზის სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდეთ, ისენი ეროვნულ გამანთავისუფლებელ ბრძოლის მსგავს ნიმუშებს ისტორიაში ადვილად შეიცნობდნენ. შორს წასვლა არ არის საჭირო, მაგალითად მოვიგონოთ პოლონეთის ლეგიონი პილსუცკის მეთაურობით, რომ შეებრძოლა მფლობელ რუსეთის მეფეს, ან ჩეხების ლეგიონი, რომელიც აღუდგა ავსტრო-უნგრეთის იმპერატორს. ეროვნული თავისუფლების იდეა დღეს მსოფლიოში კიდევ უფრო ძლიერია და მისი მოკვლა არ იქნების, არც „ცეცხლითა და მახვილით“, არც ვორონცოვებით და არც საბჭოთა პროპაგანდისტების სიცრუით.

(გაგრძელება იქნება)

გ. გაბლიანი

ქსნის საერისთაო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი" №89)

ეს გუჯარი გვაუწყებს, თუ რაოდენი ღვაწლი დაუდვია შალვა ერისთავს ლარგვისის რესტავრაციისათვის, რომლის დროს მას გაუფართოვებია და გაუმშვენიერებია მონასტერი, დაუხატვინებია კამარა, აღუმართნია ჯვარი საკურთხევლისა, დაუწერინებია მრავალი საეკლესიო წიგნები, დაუდვია შესამოსელი, აღუშენებია ეკლესია ნათლის მცემლისა, შემოუვლია ზღუდენი და აღვაშენე სწერს შ. ერითავი, „ტრაპეზნი და მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი და შევხურენ სიპითა. აღვაშენენ მარანნი ჩარდახთა წინაით და მოვაწყვენ ჭურებითა; მოვჭედე კარნი კოშკისანი და ზღუდისა კართა ზედა სამრეკლოსი, დავხურე სიპითა და დავსვენე ზედა ჯუარი სპილენძისა, დავდგენ ბეღელნი და ჩავდგი მათ ქუეშე ჭური და სხვაი რაიცა ეკლესიისა შემკობილებაი უნდოდა, შევამკე მონასტერი ესე ჩუენი საძუალე და საუკუნოი სამკვიდრობელი და სხვ." გარდა ამისა ერისთავს მეჯუდის ხევს გაუშენებია სოფელი ახალუბანი „ასეთსა ადგილსა, რომე ადამიანთაგან იქ კაცი არ სახლებულიყო ... აღვაშენე ზუარი და გუჩინენ სავენახენი". ამას გარდა გაუშენებია ამავ შალვა ერისთავს სოფელი ივრეთი, სადაც მურმან ყრუს შემდეგ „კაცი აღარ სახლებულიყო", აგრეთვე მისივ თაოსნობით და მზრუნველობა მფარველობით აშენებულა „ქსანზედა სოფელი ჰერედაი სოფელი აღვაშენე და ზაური, ქურთაი და სხვაი და ამის გარეთ ესე ჩემგან მონაღუაწებნი და უკაცურნი სოფელნი სამნი აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავთა, ქართლისა ერისთავთა და ყოველთა პატრონთა და ხელისუფალთაგან შეუვალი და თავისუფალი და მოუსარჩლელ-მუდევარი და შემოგწირენ რათა (ლარგვის) შეემატებოდეს და არაი დააკლდებოდეს".

გუჯარში შალვა ერისთავის განსაკუთრებული ღვაწლი ხაზგასმით გამოკრთის გავერანებულ და პარტახ ადგილების ხელახლა დასახლება-აყვავების საქმეში. ამ „კოლონიზაციას" ქსნის ერისთავი ეწეოდა არა ახლო მახლო ადგილებიდან გადმოსახლებით, არამედ სხვა, შორეულ ადგილთაგან მოჰყავდა ხალხი და ყოველ დახმარებას უჩენდა მათ ვერან ადგილების ათვისების საქმეში ... „და ჩუენისა მამულისათვის" დასძენს ის, „ერთი გლეხი არ დამიკლია, ყუელაი კაცები სხუახნით მომისხამს და ოხერნი სოფელნი ამით აღმიშენებიან და ამით ჩემი და ჩემთა გუართა საფლავი ღვთივ გვირგვინოსნისა ბერძენთა მეფისა იუსტინიანესგან საღმრთოითა გამოცხადებითა აღშენებული ეკლესიაი და ჩუენთა პაპათათვის საძუალედ ბოძებული, აღმიშენებია, შემიმკია და გამიდიდებია"

ქსნის საერისთავოს „აღმშენებელი" შალვა თავის ვრცელ გუჯარს იმით ამთავრებს, რომ „ამათ გარეთ აღმიშენია და შემიმატებია უკაცური სოფელი ჩემისა მამულისათვისო". ლარგვისის მონასტერი შალვაზე ადრე შეუკეთებიათ ქსნის ერისთავ იოანეს, მაგრამ თემურლენგის შემოსევისას (1391) ის დიდად დაზიანებულა, რის შემდეგ 1400 წ. გრიგოლ შინდაძეს, ავგაროზიშვილს ის კვლავ აღუდგენია და გაუმშვენიერებია. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შალვა ერისთავის შემდგომ ლარგვისის საფუძვლიანი განახლება და გამშვენიერება მოუხდენიათ დავით ერისთავს და მის დედას ქეთევანს, რომელთაც ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით მონასტერი „გუმბათოვან ჰყვეს". ეს რესტავრაცია მოუხდენიათ „ძისა მათის შალვას კეთილად აღსაზრდელად ..." (ბროსე). ამრიგად 1762 წლის წარწერიდან ირკვევა, რომ ყველა ეს ნაგებობანი ხელახლა წესრიგში მოყვანილი ყოფილა და მონასტერს თავისი უამრავი სიმდიდრე, ქონება-განძეულობა თუ შეუმატებია, თორე არ დაჰკლებია (თანახმად შალვა ერისთავის გუჯრისა).

მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა და საქართველოს სახელმწიფოს მოშლასთან ერთად, მისი ძველი ეკლესია-მონასტრების სიმდიდრეებიც გაქრა და გაჩანაგდა. ეს ბედი, რასაკვირველია, არც ლარგვისის უმდიდრეს მონასტერს ასცდა. მონასტერს, რომელიც პატარა, შეუვალ სახელმწიფოს წარმოადგენდა თავისი სიმაგრეებით, ხელოვნებით, განძეულობით, სოფლებით, და განსაკუთრებულ კანონებით, რომელნიც საგანგებოდ მის ტერიტორიაზე ვრცელდებოდნენ. (იხ. ქ. ერისთაის გუჯარი და „ქსნის საერისთავოს ქრონიკები"). მისი სრული გაჩანაგების და განვერგვინების წელი ემთხვევა ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების წელს, როცა კათალიკოსი ანტონ 2 რუსეთში გადაასახლეს.

ლარგვისის შესანიშნავი ძეგლი არ. ე. თაყაიშვილმა 1908 წ. გულსაკლავ მდგომარეობაში იპოვა. „ეხლა ეს მონასტერი", ამბობს ის „სრულიად უკაცრიელდება და ახლოა სრულ დარღვევასთან. სამხრეთი თაღი ჩამოიქცა, კედელი გასქდა და იშლება, მრევლი უმწეოა და სინოდალური კონტორა არავითარ ზომებს არ იღებს. არც მისი მდიდარი ბიბლიოტეკიდან დარჩა რამეო".

ლარგვისის შემდეგ ბატონიშვილ ვახუშტის ქსნის ხევის აღწერაში ვკითხულობთ: ... „შემდეგ არს ციხე ქარ-ჩოხისა, ქსნის პირსა ზედა, ლომისიდან ჩამოსულს კლდეზედა ... და აღვალს აქედან გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარ-ჩოხის დასავლეთს არს ქსანსა ზედა ჟამური, საშუალს ჟამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდებული, ქსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე. ჟამურის მხარეს მთასა ზედა არს კოშკნი წარიგექულნი მრავალნი და კეთილ ნაშენნი ... ცხრა წყაროსთან ორთა წყალთნ შუა არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ხოლო კვლავ ორბოძლის მთის სამხრით არს მთის კალთასა შინა იკორთის მონასტერი, დიდი, გუმბათიანი, კეთილნაშენი, კარგ ადგილსა. აქ ზის არქიმანდრიტი" და სხვ.

იკორთის შესანიშნავი მონასტერი და მისი მთავარი ტაძარი თავის დროზე ინახულა და აღწერა მარი ბროსემ, შემდეგ ის აღწერა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ. მარი ბროსეს ფიქრით ეს ტაძარი აგებულ უნდა იყოს 1172 წ. ქსნის ერისთავებმა ის გადააქციეს საგვარეულო სამარხად.

ქსნის საერისთავოს სიამაყე, იკორთის ციხე და ტაძარი, უფრო მოგვიანებით, დაახლოვებით 1880 წელს, ე. ი. მარი ბროსეს აღწერის 30 წლის შემდეგ (1848 წ.), დაუთვალიერებია და აღუწერია გრ. უვაროვისას.

მოგვყავს მოკლედ მისი აღწერა, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ცვლილებებზე, რაც იმ 30 წლის მანძილზე მომხდარა ... მარი ბროსეს აღწერის შემდეგ, ერთი საუკუნის მერე, რა მდგომარეობაში იქნება, მითხველისათვის ნათელი გახდება.

„ეხლა", სწერს გრ. უვაროვისა, „ამ ადგილმდებარეობის აღწერა (სურათი) აღარ შეეფერება მის წინანდელს", ე. ი. ვახუშტისა და ბროსეს აღწერას. „იქ აღარ მოიპოება არავითარი მცენარეულობა ... მხოლოდ ჩრდილო ნაწილებში დაშთენილა რამდენიმე კაკლის ხე და ბზის ბუჩქები, რომლებიც ამ ადგილს ოდნავ მაინც გამოყოფენ და ციხის ნანგრევებს ცოტა-ოდენ სიცოცხლეს ანიჭებენ."

ტაძრის ირგვლივ ყოველივე სრულიად განიავებულა და თვით ერისთავთა მემკვიდრეობითო შენობაც საშინელ ყოფაშია. არც ტაძარი, არც ციხე შემოკავებული არაა და ეს მაშინ, როცა ტაძრის ირგვლივ ჩამწკრივებულია ერისთავთა უკანასკნელი საფლავები. აქ ყველგან თავისუფლად დადის ნახირი და ლოკავს ტაძრის კედლებს, რითაც საბოლოოდ არღვევს კირით შელესილ მოპირკეთებას.

„გარეთ ნაგები ოთხკუთხოვანი კოშკები ადგილობრივ მცხოვრებლებს ხორბლეულის ბეღლებათ გადუქცევიათ. ქსნის ერისთავთა საფლავ-აკლდამებთან მათ პაწია ქოხ-მახები შეუთითხნიათ! ...

შემდეგ აღწერილია ტაძრის ნაგებობა, რომელიც ქართ. ხუროთმოძღვრების საუცხოო ნიმუშად ჩაითვლება. ავტორი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მიწის ძვრამ (18-ტე ს.) კუთხეების სვეტები და თაღების ჩუქურთმები დაარღვიაო. ჩუქურთმების უფრო მეტი ნაწილი დროს მოუსპია და აქა-იქ საცოდავი ნაშთები ღა სჩანანო. ტაძარი შიგნით საშინლათაა გაპარტახებული და კედლებზე აქა-იქ შესანიშნავ ფსკერების ფრაგმენტები ღა დარჩენილაო. ტაძრის არე ამოვსებულია ერისთავების საფლავების ქვებით. მარცხნივ სამი წმინდანის საფლავია: ელიზბარ და შალვა ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის, რომლებიც აწამეს სპარსეთში 17 ს.

ნივთებიდან დარჩენილა თავადების საფლავების ოთხი გადასაფარებელი ... ჰუჭყიან, ძველ სკივრში დარჩენილია ზოგი ხელთნაწერები. პრ. ა. ხახანაშვილმა მაცნობა, რომ ჩემი იქ ყოფნის შემდეგ, იკორთაში, ერთ თხრილში ტაძართან ახლოს იპოვეს დაფლული, მრავალი ძველი ხელთნაწერები და სხვა საინტერესო ნივთებიო. ტაძრის კუთხეში იდგა ზარბაზნები და სხვა ტიპის იარაღებიო. ასეთი გულსაკლავი ყოფილა მაშინ იკორთის სურათი, რასაც დიდი მწუხარებით აღნიშნავს გრ. უვაროვისა.

იკორთის ძველ მონასტერს დ. ბაქრაძე შესანიშნავ ძეგლად სთვლის, თუმცა ამ იშვიათ ნაგებობათაგან, ისტორიკოს მხოლოდ დანგრეული კედლები უნახავს. ასეთსავე მდგომარეობაში ყოფილა ქსნის ერისთავების ოდესღაც იშვიათი სასახლე. მის დროს სასახლის და წინამძღვრის სადგომების დიდი ეზო მოფენილი ყოფილა კაკლის დიდი ხეებით. დ. ბაქრაძე იზიარებს მარი ბროსეს მოსაზრებას, რომ ტაძარი და მონასტერი აგებული უნდა იყოს 1172 წ.

როგორც შესანიშნავ ძეგლს, იკორთის მონასტერის რესტავრაცია მოუხდენიათ მეფე შაჰნავაზის (ვახტანგ 5) დროს, როდესაც ერისთავობდა იესე.

როგორც შესანიშნავ ძეგლს ,იკორთის მონასტერს აღწერს პროფ. კონდაკოვი და სხვ. შორის ამბობს, რომ ის აგებულია 11-12 საუკუნეებში, რასაც ამოწმებს მისი არქიტექტურის სტილიო. ბროსეს მიერ ზუსტად აღებული დატა 1172 წ. კონდაკოვს სადაოდ მიაჩნია. მონასტერი ქსნის ერისთავებს ეკუთვის და ითვლება მათ საგვარეულო სამარხად.

1811 წ. მონასტერი მისი სრული გაღარიბების გამო გაუქმებულ იქმნაო. ეს დატა, როგორც ვხედავთ ქართული ეკლესიის რუსულ სინოდის ხელში გადასვლას ემთხვევა.

მ. ბროსეს „მოგზაურობაში" აღნიშნულია იკორთის მონასტრის ერისთავების საგვარეულო სამარხში დასაფლავებულთა ვინაობა. ახვათა შორის, აქ ჩამოთვლილია საფლავები:

1. ბატონიშვილ გაიანესი, გიორგი 13 ასულის, რევ. ერისთავის მეუღლის.
2. ელიზბარის — გიორგი ყულარაღას შვილი, გენ. ლეიტენანტი, ამის მეუღლე იყო იმერეთის მეფის, სოლომონ დიდის ასული, მარიამი.
3. ნინოსი, გენ. თამაზ ორბელიანის ასულისა, რომელიც იოანე ერისთავის მეუღლე იყო. იოანე 1741 წ. განუდგა მამას, შანშე ერისთავს და მიემხრო თეიმურაზ და ერეკლეს და იყო მათთან თბილისში.

† აკაკი პაპავა

(გაგრძელება იქნება)

დიდგორის ომი

(რადიო „თავისუფლების" გადაცემა)

(გაგრძელება იხ. 3-მე გვ.)

ვივებენ თავიანთ ქმედით ძალას ღვთიურისა მოწოდილი ბნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი ტრადიციათა ცნობით ხალხნია: ბოროტისა და უკუღმართის მატარებელნი. საკვირველი არაა თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის. და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით — დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი გადაურაზაო. და ეს ვის შეეძლო თუ არა „მზე-მეფე", ანუ „მღვდელ-მეფეს". ხედავთ სად ასულა სახელი აღმაშენებელისა? სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტიოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი. 1119 წელს ნადიმ ედინ ელღაზმა, ალეპპოს სულთანმა, დაამარცხა ანტიოქიის მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობელოს იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა: სწორედ ამ დროს მძლავრობდა ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე: საქართველო. მუსლიმანთა წინაშე გეგმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წელს აგვისტოში საქართველოს მოადგა ნადიმ ედინ ელღაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: ექვსასი ათასი მხედარი — არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14 დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი სამარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადიმ ედინ ელღაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა გაანთავისუფლა თბილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა: ანი საქართველოს შემოუერთა. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია ჯვაროსნებსაც. და აი იზრდება მისი სახელი ლეგენდათ კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა მოგვითხრობს: დავითმა საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი „პრესბიტერ იოჰანნეს", გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის საქრისტიანოს მოსაშველებლადო. შევჩერდეთ ამ ცნობაზე. საშუალო საუკუნოებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა „მღვდელ-მეფისა". „დას ჰაილიგე რომიშე რაიხ" გერმანელ მეფეთა მიერ ქმნილი მნიშვნელოვანი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისათვის. ცდა ცდად დარჩა, რადგან „მღვდელისა" და „მეფესი" შეერთება ერთ პიროვნებაში არ მოხდა".

აი რა დიდი და ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის დავით აღმაშენებელს და მის ძლევამოსილ მხედრობას ჩვენი ეროვნული მეობისა და მისი სიმძლავრე-დიდების განმტკიცებისათვის.

ვაგლახ! ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და რეფორმატორის ხსოვნითი ძეგლი არ არის დადგმული არსად საქართველოში, იმ დოს, როცა ჩვენი ქვეყნის დამპყრობელის — ლენინის ძეგლებით ქართველ ხალხს თავი აქვს მობეზრებული.

ჩვენ გვგონია, რომ დიდგორის ეპოპეას უკვდავსაყოფად სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს დიდი ლაშქრობა მოხდა, დაიდგას ქართველი მხედრების სახსოვარი ობელისკი. დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, აბსოლუტურად განათლებულ მონარქს — დავით აღმაშენებელს ქუთაისთან ახლოს გელათში, მის მიერ დაარსებულ მეცნიერებათა აკადემიის ეზოში დაედგას მონუმენტალური ძეგლი. იგი ღირსია ამისა.

ილიას

მყინვარ-წვერივით დიადო,
თერგის ზვირთსავით მქუხარევ,
ივერიელთა იმედო, ივერიისთვის მწუხარევ.
მზეო შუქ გაუხუნარო,
სხივკურთხეულო ცისკარო,
თავს დაგლულუნებს ქედანი,
ლექსს გიმღერს ვაჟას მთის წყარო!
მთაწმინდის მთისკენ ფრთებს ხრიან
ზღვისკენ მავალი გედები,
ზეფირის პირით კოცნიან
შენ საფლავს ყვარლის ქედები ...
მათ გამომგზავნეს ახლაც აქ,
მეც არ უთხარი უარი:
„წადი, ის მხარეც იხილე,
ჩვენზე ლამაზი თუ არი?"
გავცქერი წარმტაც მიდამოს,
ჩემს უნებლიეთ ვწითლდები,
აქაც ყოფილა ამაყად ცად აზიდული ქედები.
მე, შენს ეზოდან წამოველ,
კაკლებ ქვეშ გამოვიარე,
თითქოს უნდოდათ წამოსვლა,
ფოთლები შეაშრიალეს!..
ბაღში ქვანიც კი ყვაოდნენ
ვარდის სურნელით ვთვრებოდი,
დავემხე, მიწას ვემთხვიე,
იქ, სადაც შენ იზრდებოდი.
რა უყოთ, ზოგჯერ გრიგალი
ამაყ მუხასაც გაღუნავს ...
შენ ვერ გაგღუნეს და ვერ გაგტეხეს,
მოგკლეს და ვერ კი დაგმარხეს!
იყავი ჭირისუფალი
საბრალო გლეხის ბედისა,
იყავი წრფელი, ვით ცრემლი,
გიორგის ქვრივი დედისა!
იყავი თავდადებული, მეფე დიმიტრის სადარი,
დაეცი წიწამურთანა, ვით ნამეხარი ჭადარი!..
დაიწვი კელაპტარივით, სამშობლოს სიყვარულშია,
ტყვია შენ შუბლში გესროლეს
საქართველოს კი გულშია!
ჰო, ვინ იყო, ის იუდა,
ხელი შენ სისხლით იღება,
ვინ დაგვიობლა სამშობლო,
აკვანში მწოლი პატარა ...

ბეროშვილი

რედაქციისაგან

განვლილი, 1971 წლის განმავლობაში „ქ. აზრის" ფონდისათვის მიღებული შემოწირულება:

ბბ. დრ. ო. ზალდასტანიშვილი — 300 დ. დრ. გ. გაბლიანი — 250 დოლ. გ. ზალდასტანიშვილი — 210 დოლ. ვ. სანგულია — 90 დოლ. ს. გაბუნია — 50 დოლ. ნ. თოფურია — 50 დოლ. უცნობისაგან — 10 დოლ.

ულრმეს მადლობას მოვახსენებთ ყველა შემომწირველს და ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულებს მოვაგონებთ, რომ გაზეთის ერთად-ერთი საარსებო წყარო ნებაყოფლობითი შემოწირულებაა.

G. A. Press

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.
149 Avenue A
New York, N. Y. 10009
Tel.: 473 - 0240